ოქმი:**ო08. 3725174001**

თარიღი:**23/06/2025**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 23 ივნისი

ქ.ოზურგეთი

12:30 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, ლ. კილაძე, პ. კიღურაძე, ბ. კილაძე, გ. შილაკაძე, გ. ჩავლეშვილი, თ. ტუღუში.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მ. კოსტავას ქუჩა N1-ში (ს/კ 26.26.42.003.01.508) მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 33.64 კვმ. ფართის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ ფართი ეკუთვნის მუნიციპალიტეტის მერიას და სარგებლობის უფლებით გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ბიუროს. კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მერისათვის თანხმობის მიცემა.

სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, რომელიც ასევე ეხებოდა მერიის ბალანსზე რიცხული ავტომობილის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემას, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების ამ პროექტსაც.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ორივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი